საქართველოს ინტერნეტმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი (YOUTH IGF GEORGIA)

წესდება

1. **ზოგადი დებულებები**
   1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ინტერნეტმმართველობის ახალგაზრდული ფორუმის (YOUTH IGF GEORGIA) წესდებას.
   1.2. მოცემული წესდება განსაზღვრავს ფორუმის წევრების უფლებამოსილებას, გამოკვეთს ფორუმის ხელმძღვანელობის სტრუქტურას და ადგენს ფორუმის მმართველი კომიტეტის (MAG – Multistakeholder Advisory Group) არჩევის წესს.
   1.3. საქართველოს ინტერნეტმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი არის არარეგისტრირებული არაკომერციული გაერთიანება, რომელიც იქმნება წინამდებარე წესდების საფუძველზე, ხელმომწერი მხარეების, კერძოდ, ინტერნეტმმართველობის მიმართულებით დაინტერესებული ახალგაზრდული ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სტუდენტების, სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან;
   1.4. საქართველოს ახალგაზრდული ინტერნეტმმართველობის ფორუმი ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და დაინტერესებული მხარეების თანასწორუფლებიან მონაწილეობას ინტერნეტმმართველობასთან დაკავშირებულ დიალოგში, დისკუსიებში, მოლაპარაკებებსა და სტრატეგიების შემუშავების პროცესში და დაინტერესებულ პირებს უქმნის ნეიტრალურ სივრცეს ინტერნეტმმართველობასთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირების მიმართულებით.
   1.5. ფორუმის წევრები, აცნობიერებენ რა ახალგაზრდებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივი მონაწილეობის მნიშვნელობას ინტერნეტმმართველობასთან დაკავშირებული საკითხების ადვოკატირებისა და განხილვების მიმართულებით, იწვევენ ყველა დაინტერესებულ მხარეს აღნიშნულ პროცესში ჩასართავად;
   1.6. ამ დოკუმენტის ხელმომწერი ყველა პირი წარმოადგენს ფორუმის დამფუძნებელ წევრს;

2. **ხედვა**
   2.1. საქართველოს ინტერნეტმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი წარმოადგენს ღია, ხელმისაწვდომ პლატფორმას, რომელიც დაინტერესებული მხარეებისათვის ქმნის ინტერნეტმმართველობის(IG), ციფრული უფლებების, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა(ICT) და ციფრული პოლიტიკის საკითხებთან

დაკავშირებით განხილვებში, მოლაპარაკებებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ფორუმი ხელს უწყობს ძლიერი და ინკლუზიური ინტერნეტსივრცის ჩამოყალიბებას ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ დონეზე.

3. მისია

3.1. საქართველოს ახალგაზრდული ინტერნეტმმართველობის ფორუმის ინიციატივა ხელს უწყობს დაინტერესებული მხარეების დიალოგის პროცესს და ახალისებს ახალგაზრდების ჩართულობას სახელმწიფო, კერძო სექტორს, სამოქალაქო საზოგადეობას, სფეროს ექსპერტებსა და აკადემიურ წრეებს შორის მიმდინარე განხილვებში.

3.2. ფორუმის ხელს უწყობს საქართველოს ინტერნეტმმართველობის მრავალმხრივი ჩართულობის მოდელების დამკვიდრებას.

3.3. ფორუმი ემსახურება ინტერნეტმმართველობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესისა და კონსულტაციების ღიაობას, ცნობიერების ამაღლებას ინტერნეტსივრცისა და ციფრული უფლებების თაობაზე და ახალგაზრდების თანაბარუფლებიან მონაწილეობას დიალოგში ინტერეტ მმართველობის საკითხების შესახებ.

4. საქართველოს ახალგაზრდული ინტერნეტმმართველობის ფორუმის ძირითადი პრინციპები

4.1. დემოკრატიული პროცესებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცება, ახალგაზრდების დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა;

4.2. ახალგაზრდული ინიციატივების წარმოჩენა ინტერნეტში ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიმართულებით;

4.3. ინტერნეტმმართველობის პროცესების გაუმჯობესება ყველა დაინტერესებული მხარისა და ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფით;

4.4. საერთაშორისო რეგულაციებისა და ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა;

4.5. ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა მომხმარებლების უფლებების დაცვის მიმართულებით დიალოგის პროცესში;

4.6. ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა ინტერნეტის უნივერსალიზაციის, უსაფრთხოების, საიმედოობის, მდგრადობისა და სანდოობის პროცესში;

4.7. ახალგაზრდული ინიციატივების ადვოკატირება ინტერნეტმმართველობის დეცენტრალიზებული და სოციალურ პასუხისმგებლობაზე დამყარებული მიდგომების ჩამოყალიბების მიმართულებით;

4.8. ციფრული ინიციატივებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში ახალგაზრდობის მონაწილეობა.

4.9. ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა სტაჟირების პროგრამებში, პროფესიულ კურსებსა და მხარდამჭერი ორგანიზაციების პროექტებში.

5. ახალგაზრდული ინტერნეტმმართველობის ფორუმის მმართველობითი ორგანოები

ფორუმის მართვასა და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ფორუმის წევრების საერთო კრება, ფორუმის მმართველი კომიტეტი და სფეროს ექსპერტებისაგან შემდგარი ფორუმის მრჩეველთა საბჭო.

5.1. ფორუმის წევრების საერთო კრება

5.1.1. ფორუმის წევრების საერთო კრება მოიწვევა წევრების მოთხოვნით, საჭიროებისამებრ, არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

5.1.2. ფორუმის წევრების საერთო კრება ამტკიცებს ფორუმის მმართველი კომიტეტისა და მრჩეველთა საბჭოს მხრიდან შემუშავებულ სამუშაო გეგმასა და გეგმის შესრულების გრაფიკს.

5.1.3. სხდომის დანიშვნისა და მისი დღის წესრიგის შესახებ ფორუმის წევრებს ეცნობებათ სხდომამდე არა უგვიანეს 7 დღით ადრე.

5.1.4. ფორუმის წევრების საერთო კრება იწვევს ფორმუს წევრებისა და ფორუმის მმართველი კომიტეტის სხდომას საჭიროებისამებრ.

5.2. ფორუმის მმართველი კომიტეტი

5.2.1. ფორუმის მმართველი კომიტეტი განსაზღვრავს ფორუმის საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს და საერთო ზედამხედველობას უწევს ფორუმის მდგრად ფუნქციონირებას.

5.2.2. მმართველი კომიტეტი შედგება არანაკლებ 2 წლით არჩეული 9 წევრისაგან, მათ შორის კომიტეტის შემადგენლობიდან ერთი წლით არჩეული ფორუმის

კოორდინატორისა და 2 თანაკოორდინატორისგან (საორგანიზაციო მიმართულება და პროგრამული მიმართულება) .

5.2.3. მმართველი კომიტეტი შეიმუშავებს ფორუმის სამუშაო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს ფორუმის წევრების საერთო კრებას.

5.2.4. მმართველი კომიტეტი მონიტორინგს უწევს ფორუმის სამუშაო გეგმის შესრულებას.

5.2.5. მმართველი კომიტეტი პასუხისმგებელია ფორუმის მართვის პროცესის შესახებ ელექტრონულად ინფორმაციის მიწოდებაზე ფორუმის წევრებისათვის.

5.2.6. მინიმუმ ორ თვეში ერთხელ, მმართველი კომიტეტი დისტანციურად აწვდის ინფორმაციას მრჩეველთა საბჭოსა და საერთო კრებას ფორუმის ამოცანების განხორციელების პროგრესის თაობაზე.

5.2.7. მმართველი კომიტეტი ესწრება ფორუმის საერთო კრების მხრიდან მოწვეულ გაერთიანებულ სხდომას.

5.3. ფორუმის მრჩეველთა საბჭო

5.3.1. ფორუმის მრჩეველთა საბჭო შედგება 5 მოწვეული წევრისგან, რომელთაგან ერთი წევრი აირჩევა ფორუმის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ.

5.3.2. მრჩეველთა საბჭო დახმარებს უწევს მმართველი კომიტეტის საქმიანობას ფორუმის მიზნების მიღწევაში.

6. ფორუმის წევრობა

6.1. ფორუმის წევრობა ეფუძნება საზოგადოებრივ საწყისებს და არაანაზღაურებადია.

6.2. ფორუმის წევრებს, საერთო კრების ფარგლებში, გააჩნიათ განსახილველი საკითხების კენჭისყრის პროცესში ხმის მიცემის უფლება.

6.3. სრულ წევრებს შეუძლიათ შეუერთდნენ და აქტიურად მიიღონ მონაწილეობა ფორუმის ყველა აქტივობაში, თუ ისინი წარმოადგენენ 16-35 წლის ასაკის პირებს.

6.4. ფორუმის ყველა წევრი ვალდებულია, განაახლოს საკონტაქტო ინფორმაცია ყოველწლიურად, მათ შორის, ფორუმის წევრების საერთო კრებამდე.

6.5. ფორუმის წევრებს აქვთ მოსაზრებების გამოთქმის თავისუფლება, სამართლებრივ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით და არ არიან შეზღუდულნი წარმდგენი უწყების ოფიციალური პოზიციით. ამასთან,

ფორუმის წევრების მხრიდან გამოთქმული პირადი მოსაზრებები არ შეიძლება მიჩნეულ იქნას შესაბამისი უწყებების ოფიციალურ პოზიციად.

7. ახალგაზრდული ინტერნეტმმართველობის ფორუმის ჩატარების დღე

7.1. საქართველოს ახალგაზრდული ინტერნეტმმართველობის ფორუმის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტი.

7.2. ღონისძიების ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე, ფორუმის მმართველი კომიტეტი, საორგანიზაციო კომიტეტთან ადასტურებს ღონისძიებასთან დაკავშირებულ ყველა დეტალს, კერძოდ: ჩატარების ადგილს, მომხსენებლებს და ყველა სხვა ლოგისტიკური თუ საორგანიზაციო საკითხს. ფორუმის ორგანიზატორებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება იმ საკომუნიკაციო პროგრამების გამოყენებით, რომელიც ესადაგება ეფექტიანობის მოთხოვნებს;

7.3. ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ღონისძიების დღესთან დაკავშირებული ამოცანების საკონტროლო სიას. საკონტროლო სია, საორგანიზაციო ამოცანების შემცველ დოკუმენტაციასთან ერთად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფორუმის მმართველი კომიტეტისა და საორგანიაციო კომიტეტის ყველა წევრისათვის ონლიან პლატფორმების მეშვეობით.

7.4. ფორუმის ორგანიზებათან დაკავშირებული პრობლემური საკითხების გადაწყვეტა მიმდინარეობს წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით.

8. ფორუმის ჩატარების ადგილი და სივრცე

8.1. ფორუმის ორგანიზატორები არჩევენ ღონისძიების გასამართ ადგილს: ფასის, გამომსვლელების მოთხოვნების, ფორუმის მასშტაბებისა და ბიუჯეტის მოცულობის შესაბამისად.

9. ფორუმის დღის წესრიგი და პროგრამა

9.1. ყველა დაინტერესებულ მხარეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს ფორუმის პროგრამის შედგენაში.

9.2. ღონისძიების პროგრამა უნდა იყოს მაქსიმალურად ორიენტირებული ადგილობრივ პრობლემებზე და საშუალება მისცეს ყველა დაინტერესებულ და ასევე, განსხვავებული შეხედულების მქონე მხარეს, გამოთქვას თავისი აზრი.

9.3. ღონისძიების დღის წესრიგი არ უნდა იყოს გადატვირთული და სასურველია, ითვალისწინებდეს ერთი დღის ფარგლებში განსახილველი საკითხების ნუსხად.

9.4. ღონისძიების ჩატარების დღის წესრიგი, გამოსვლებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს კომენტარებისა და დისკუსიების დროსაც.

9.5. ღონისძიების დღის წესრიგი, უნდა ითვალისწინებდეს ფორუმის შემაჯამებელ სხდომას, რომლის ფარგლებშიც შეჯამდება ფორუმის ფარგლებში გამართული დისკუსიები.

9.6. შემაჯამებელი სხდომის საფუძველზე, ფორუმის ორგანიზატორები მოამზადებენ შემაჯამებელს ანგარიშს.

9.7. შემაჯამებელი ანგარიში მზადდება ფორუმის მმართველი კომიტეტის მხრიდან, ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტის ჩართულობით და მტკიცდება ფორუმის საერთო კრების მხრიდან.

10. მხარეთა ხელმოწერები

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ბიზნესის და ტექნოლოგიის უნივერსიტეტი, ნ.

საქართველოს უნივერსიტეტი ნ.

კიბერუსაფრთხოების ეროვნული ასოციაცია ნ.

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

ინტერნეტ საზოგადოება საქართველო